2012 წელი, 27 სექტემბერი - 3 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

# ახალი განათლება

№27 (581) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

unicef



## გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) განცხადება არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ სასჯელაღსრულების სისტემაში

გაეროს ბავშვთა ფონდი მკაცრად გმობს სასჯელაღსრულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, რომლებიც გავრცელდა სატელევიზიო არხებით. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი (მუხლი 37, ბავშვის უფლებათა კონვენცია). ამავე უფლებებზეა გამახვილებული ყურადღება სხვა საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებებსა და კონვენციებში, რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

იუნისეფი მოუწოდებს მთავრობას დეტალურად გამოიძიოს თავისუფლებააღკვეთილ და დაკავებულ არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ყველა არასრულწლოვნის, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ძალადობის მსხვერპლთა ან მოწმეთა უსაფრთხოება. ხელისუფლების მიერ გარანტირებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა.

იუნისეფმა შეშფოთება გამოთქვა აგრეთვე, ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის შესახებ, რომელიც აღნიშნული იყო სახალხო დამცველის 2012 წლის 9 აგვისტოს განცხადებაში და სთხოვა მთავრობას ადეკვატური და დროული რეაგირება.

სხვა საერთაშორისო დონორებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით, იუნისეფი ეხმარება საქართველოს მთავრობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში და მზად არის გააგრძელოს ყველა პარტნიორის მხარდაჭერა ამ სფეროში ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

მენტორობის კანდიდატთა კონკურსის შესახებ

გვერდი 2

თბილისის სამუზეუმო უბანი - თანამედროვე სამუზეუმო მოდელი ქართულ რეალობაში

გვერდი 4-5

კეთილი ფიქრის, კეთილი სიტყვის, კეთილი საქმის საწინდარი

გვერდი 8-9

სიახლე




„რა არის რა“
50-ტომეული

ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“



უ. სომერსეტ მოემი
ჭრელი საბურველი



ჯონ ბრეინი
გზა ელიტისაკენ



ჯეკ ლონდონი
დიდი სახლის პატარა დიასახლისი

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში,
რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

# მენტორობის კანდიდატთა კონკურსის შესახებ

**2012 წლის 20 სექტემბრიდან** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლობის მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამის – 2012-2013 – ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მენტორების შესარჩევ კონკურსს.

2012-2013 სასწავლო წელს პროგრამა განხორციელდება მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებშიც და პროგრამაში მონაწილეათ ქალაქს დაემატება კიდევ სამი: მცხეთა, დუშეთი და ამბროლაური.

2012-2013 სასწავლო წელს მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება თბილისის, რუსთავის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, მცხეთის, დუშეთისა და ამბროლაურის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ინგლისური ენის, გერმანული ენის, ფრანგული ენის, რუსული ენის, დაწყებითი საფეხურისა და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებსაც გააჩნიათ პედაგოგად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და ასწავლიან საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

## I. სამუშაოს აღწერა და ფუნქციები

**მენტორი:**

- ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს მასწავლებლობის მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში.
- მენტორი ხელმძღვანელობს არაუმეტეს 4 მაძიებელს.
- მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში წარუდგენს მაძიებელს სკოლის ხელმძღვანელობას და მასწავლებლებს.
- განსაზღვრავს მაძიებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაძიებელთან თანამშრომლობით ქმნის მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც აღწერს მაძიებლობის პერიოდის გავლის ეტაპებს, მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, შესრულების პერიოდულობასა და მაძიებლობის პერიოდის გავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს.
- ატარებს თემატურ და მიზნობრივ კონსულტაციებს მაძიებელთან, უზიარებს მას პროფესიულ გამოცდილებას და აძლევს სათანადო რჩევებს მაძიებლის საჭიროებებიდან გამომდინარე.
- ხელმძღვანელობს მაძიებლის მიერ საგაკვეთილო, სააღმზრდელო და დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას.
- ხელს უწყობს მაძიებელს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში, მოტივაციის ამაღლებასა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- მონაწილეობს მენტორთა ტრენინგებსა და ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, აგრეთვე თანამშრომლობს ცენტრის წარმომადგენელთან მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგის განმავლობაში.
- პერიოდულად წარუდგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მაძიებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მონაწილეობს მაძიებლის მიერ სადემონსტრაციო გაკვეთილისა და მაძიებლის პორტფოლიოს მომზადებაში.
- ესწრება და მაძიებელთან ერთად აანალიზებს სადემონსტრაციო გაკვეთილს.
- აფასებს მაძიებლის საქმიანობას ყოველ სემესტრსა და სასწავლო წლის ბოლოს.
- ქმნის მენტორის პორტფოლიოს და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.
- იცავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

## II. კონკურსის ჩატარების ფორმატი

**პირველი ეტაპი:** კონკურსის პირველ ეტაპზე მიიღება მენტორობის კანდიდატთა ელექტრონული განაცხადები, სამოტივაციო წერილთან ერთად (მენტორობის კანდიდატის განაცხადი იხ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე – www.tpdc.ge და სამოტივაციო წერილი იხ. ქვემოთ).

მეორე ეტაპისთვის დაუკავშირდებიან მხოლოდ იმ კანდიდატებს, ვინც პირველი ეტაპი გადალახა.

**მეორე ეტაპი:** გასაუბრება და გაკვეთილის გეგმის პრეზენტაცია მენტორობის კანდიდატთა მიერ. პრეზენტაციის დრო – 5-7 წთ.

მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ სასურველი თემა/საკითხი სასწავლო გეგმიდან და გასაუბრებაზე წარმოადგინონ გაკვეთილის გეგმის ელვერსია (იხ. დანართი №2).

დაინტერესებულმა კანდიდატებმა გთხოვთ, წარმოადგინოთ მენტორობის კანდიდატის ელექტრონული განაცხადი და სამოტივაციო წერილი შემდეგი ელფოსტის მისამართებზე: emamatsashvili@tpdc.com და mtsiklauri@tpdc.com, 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით. განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ორივე ზემოთ მოცემულ მისამართზე, ვაკანსიისა და ვინაობის მითითებით.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენის მასწავლებლებმა გაკვეთილის გეგმა უნდა წარმოადგინონ შესაბამის უცხო ენაზე.

პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ 2008-2012 სასწავლო წლებში მენტორობის გამოცდილების მქონე, სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებიც გაივლიან გასაუბრებას და წარმოადგენენ მენტორის პორტფოლიოს.

## III. მენტორობის კანდიდატის სამოტივაციო წერილი

### „მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდამჭერის სახელმწიფო პროგრამა“ 2012-2013 სასწავლო წელი

სამოტივაციო წერილში ავტორი ასაბუთებს, თუ რატომ დაინტერესდა მენტორობით, როგორ შეძლებს მაძიებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და საკუთარი ცოდნის/უნარების წარმოჩენას მაძიებლობის პერიოდში.

სამოტივაციო წერილის წერისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

– მოკლედ მიმოიხილეთ თქვენი სამუშაო გამოცდილება და განათლება;

– მიუთითეთ ის პიროვნული და პროფესიული თვისებები/მიღწევები, რაც, თქვენი აზრით, სხვა კანდიდატისგან გამოგარჩევთ;

– სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის ფურცლის ერთ გვერდს.

*დანართი №2*

### გაკვეთილის გეგმა და მენტორობის კანდიდატის შეფასება

### გაკვეთილის გეგმის მოკლე აღწერა

საგანი___________________

კლასი___________________

| | |
|---|---|
| 1. სახელი და გვარი | მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი |
| 2. თემის სახელწოდება | შეარჩიეთ სასწავლო გეგმიდან იმ თემის/საკითხის სათაური, რომლის მიხედვითაც აპირებთ გაკვეთილის დაგეგმვას. |
| 3. გაკვეთილის სასწავლო მიზნები | შეარჩიეთ და ამ გრაფაში დაწერეთ სასწავლო გეგმის „სწავლის შედეგის“ განყოფილებიდან ის შედეგი/შედეგები, რომელთა მიღწევასაც ხელს უწყობს თქვენ მიერ დაგეგმილი გაკვეთილი.<br>გაკვეთილის/გაკვეთილების მიზანი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, ამიტომ ის უნდა იყოს მიღწევადი წინასწარ განსაზღვრული დროისთვის. |
| 4. სწავლის შედეგები | გაკვეთილის/გაკვეთილების სწავლის შედეგების გრაფაში ჩაწერეთ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელსაც აპირებთ, რომ მიაღწიოთ კონკრეტული გაკვეთილის/გაკვეთილების ბოლოს. |
| 5. მიმდინარეობა (აქტივობა და დრო) | მიმდინარეობის გრაფაში დაწერეთ გაკვეთილის/გაკვეთილების პროცესის თანმიმდევრული აღწერა.<br>შერჩეული/დაგეგმილი აქტივობები გაკვეთილის მიზნისა და შედეგების მიღწევის საშუალებას უნდა იძლეოდეს.<br>გაკვეთილის პროცესი აღიწერება გაკვეთილის დაწყებიდან მის დასრულებამდე: ქმედებების თანმიმდევრობა, რატომ კეთდება, რას აკეთებს მასწავლებელი, რას აკეთებენ მოსწავლეები, როდის და როგორ ხდება ჯგუფური, ინდივიდუალური თუ წყვილებში მუშაობა, როდის ფასდებიან მოსწავლეები.<br>აქტივობები უნდა აღიწეროს ცალ-ცალკე და მიეთითოს ხანგრძლივობა წუთებში. |
| 6. შეფასება | მიუთითეთ, რა აქტივობებით აპირებთ სასწავლო შედეგების შემოწმებას *(მაგ: მინი-დისკუსია, სავარჯიშოს შესრულება და ა.შ)* .<br>შეფასების რა ტიპ(ებ)ს (განმავითარებელი, განმსაზღვრელი, ინდივიდუალური, ჯგუფური და ა.შ.) გამოიყენებთ?<br>საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გაამზადეთ შეფასების რუბრიკა/შეფასების ფურცელი, რომელიც გაკვეთილის გეგმას ცალკე დოკუმენტის სახით დაერთვის. |
| 7. რესურსები | ტექნიკა და რესურსები – შესასრულებელი აქტივობის გათვალისწინებით მიუთითეთ, რა სახის ტექნიკა და დამხმარე რესურსები გჭირდებათ გაკვეთილზე *(მაგ. კომპიუტერების რაოდენობა, პროექტორი და ა.შ.)*<br>**ინფორმაციის წყარო (ნაბეჭდი, ელექტრონული და სხვ.)** მიანიშნეთ წყაროები და ელექტრონული რესურსები, რომლებიც გამოიყენეთ გაკვეთილის მომზადების, მსვლელობის დროს *(მაგ. წიგნები, ალბომები, ვებგვერდები...).* |

## IV. მენტორობის კანდიდატები შეფასდებიან შემდეგ კომპეტენციებში:

**პედაგოგიური კომპეტენცია**

გადმოცემის უნარი;

კომუნიკაციის უნარი;

მოტივირების უნარი;

ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლება-სწავლის სტრატეგიების ფლობა;

**ICT კომპეტენცია**

საოფისე პროგრამებისა და ინტერნეტ-სერვისების (ელფოსტა, კალენდარი) ზოგადი ცოდნა და გამოყენება;

**ზოგადი უნარები**

ინოვაციურობა და შემოქმედებითობა;

საჭიროებების იდენტიფიცირების უნარი;

სისტემური ხედვა;

პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უნარი;

დროის მართვა;

შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების/ანგარიშგების უნარი.

# გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

## აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

### ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

**ბიზნესის მართვის კათედრა**
1 ასოცირებული პროფესორი (მენეჯმენტი)

**ფინანსების და ეკონომიკის კათედრა**
1 ასოცირებული პროფესორი (სტატისტიკა)

### სამართლის ფაკულტეტი

**საჯარო სამართლის კათედრა**
2 სრული პროფესორი

**კერძო სამართლის კათედრა**
1 სრული პროფესორი

### სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა**
1 ასოცირებული პროფესორი (ფსიქოლოგია)

საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2012 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 7 დეკემბერს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2012 წლის 13 დეკემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: 2 66-15-12

# აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

**იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.**

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თერთმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2013-2015 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: ***კახეთი, მცხეთა-მთიანეთი*** (ახალგორის მუნიციპალიტეტის გარდა), **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** (მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტი), **სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი** (*საჩხერის მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ქალაქი საჩხერე),* ***სამეგრელო*** (აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები), **რაჭა-ლეჩხუმი**.

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **26 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2013-2015 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: **education@ge.peacecorps.gov**

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **15 ოქტომბერი, 2012 წელი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს: **ასმათ სიხარულიძეს** (აღმოსავლეთი) ან *თეო ნეფარიძეს* (დასავლეთი).

ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06

# ინფორმაცია თანხის დაბრუნების შესახებ

იმ აპლიკანტებს, რომლებმაც შეცდომით ან ზედმეტად გადაიხადეს საგამოცდო თანხა, აპელაციის შემდეგ შეეცვალათ ქულა (მოემატათ ან დააკლდათ), შეუძლიათ გადახდილი თანხა უკან დაიბრუნონ.

განაცხადების მიღება იწარმოებს 2012 წლის 17 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა 9, 10.00-18.00; რეგიონებში – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

## თუ განაცხადი არ იქნება წარმოდგენილი აღნიშნულ ვადაში, გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

განმცხადებელმა თან უნდა იქონიოს:
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;
- ბანკის მიერ გაცემული საბანკო რეკვიზიტები, სადაც მითითებული იქნება ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ანგარიშის დასახელება;
- იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სხვა პირია – კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა).

აპლიკანტებმა განაცხადში აუცილებლად უნდა მიუთითონ ბანკის რეკვიზიტები (ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, ანგარიშის დასახელება (გვარი, სახელი) თანხის ჩასარიცხად, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ვერ დაბრუნდება.

## თანხები მითითებულ ანგარიშებზე ჩაირიცხება 2012 წლის 17 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით

ზემოაღნიშნული წესით, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადახდილი რეგისტრაციის საფასური დაუბრუნდებათ არააკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებსაც.სტუდენტი ვალდებულია, განცხადებასთან ერთად, წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი, რომ ნამდვილად სწავლობს არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

# ინფორმაცია



პირველად საქართველოში მშობლისა და აღმზრდელის წიგნი „თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის" გამოიცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნში მოცემულია რჩევები და თამაშები სკოლამდელი ასაკის ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობისთვის. რეკომენდაციები ეყრდნობა ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს. აღნიშნული პუბლიკაცია დაეხმარება სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებსა და აღმზრდელებს უკეთ დაგეგმონ განმავითარებელი და ბავშვისთვის საინტერესო აქტივობები თუ თამაშები როგორც საბავშვო ბაღში, ასევე სახლში.

მშობლისა და აღმზრდელის წიგნი უსასყიდლოდ გადაეცემა ყველა მუნიციპალურ ბაღს საქართველოს მასშტაბით, ელექტრონული ვერსია კი განთავსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე www.elibrary.emis.ge.

წიგნის პრეზენტაციაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შექმნილი სატელევიზიო სოციალური სარეკლამო რგოლის ჩვენებაც გაიმართა.

სკოლამდელი განათლების მიმართულებით სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, მეოთხე წელია, რამდენიმე პროექტს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით და ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

პროექტების ფარგლებში, სკოლამდელ განათლებაში მშობელთა ჩართულობის მიზნით, 11 მუნიციპალიტეტში მშობელთა ცენტრები შეიქმნა; საქართველოს 13 მუნიციპალიტეტში კვალიფიკაცია 562 აღმზრდელმა აიმაღლა, მათ ტრენინგები უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა ჩაუტარეს; 6 მუნიციპალიტეტში შეიქმნა ეთნიკური უმცირესობების სკოლამდელი განათლების 8 ცენტრი; 2012 წლის ივნისში სკოლამდელი განათლების კვირეული ჩატარდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას სკოლამდელი განათლების, როგორც უწყვეტი განათლების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის ხელშეწყობის მიმართულებით.




# თბილისის სამუზეუმო უბანი – თანამედროვე სამუზეუმო მოდელი ქართულ რეალობაში

*ლალი ჯელაძე*

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მუზეუმი, როგორც ინსტიტუცია, მნიშვნელოვნად განვითარდა. თანდათანობით მუზეუმები იქცნენ ქალაქის შემოქმედებით ცენტრებად და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცხოვრებასა და ტურიზმის განვითარებაში – მათი დანიშნულება გასცდა ექსპონატების შეგროვების, დაცვისა და გამოფენის იმ ტრადიციულ ჩარჩოს, რომელიც მე-19 საუკუნიდან ჰქონდა შეძენილი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იქცეს პოსტსაბჭოთა მუზეუმი თანამედროვე, ინოვაციურ, შემოქმედებით და დამთვალიერებლებისთვის საინტერესო ინსტიტუციად, რომელიც აქტიურადაა ჩართული ქალაქის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში. პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები, 2010 წლიდან, მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „თვინინგის“ პროექტის ფარგლებში.

19-22 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“ და გამოფენას „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი. წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. გამოფენა სამუზეუმო კუნძულის სამეურვეო საბჭოს და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა.

კონფერენციის მთავარი თემა სწორედ მუზეუმის ახალი როლის განხილვა იყო, მსოფლიოს წარმატებული მუზეუმების მაგალითების მიხედვით, როგორიცაა: თანამედროვე ტენდენციები ბერლინის „სამუზეუმო კუნძულის“; ლონდონის „ბრითიშ მუზეუმის“, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის, ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუციასა და აზიის მუზეუმებში. კონფერენციას ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დირექტორები და კურატორები, მეცნიერები, მენეჯერები და არქიტექტორები. ყურადღება დაეთმო მუზეუმების მდგომარეობას სამხრეთ კავკასიისა და პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დირექტორები: **ფილიპ დე მონტებელო**, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის დირექტორი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუზეუმს; არქიტექტორები: **ჟან-ფრანსუა მილო** და **პაოლო მარტინს ბარატა**, **მარკუს პენელი** Ortner & Ortner-დან, **ალექსანდერ შვარცი** Chipperfield Architects-დან, ჟურნალ „მერკურის“ გამომცემელი **ქრისტიან დემანდ**, ბერლინის მუზეუმების გენერალური დირექტორი, **მიხაელ აიზენჰაუერი**, პარიზის UNESCO-დან **ნაო ჰაიაში** და გოეთეს ინსტიტუტის პრეზიდენტი, ასევე, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი **კლაუს-დიტერ ლემანი**.

პრესკონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა სტეფან ვაკვიცმ და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გენერალურმა დირექტორმა მიხაელ აიზენჰაუერმა კონფერენციისა და გამოფენის მთავარ თემებზე ისაუბრეს.

**დავით ლორთქიფანიძე**: *„ეს უნდა იყოს მოდელი იმისა, თუ როგორ შეირწყას ხელოვნება, მეცნიერება და განვითარება. არ შეიძლება ცალკე იყოს მხოლოდ მუზეუმი ან მხოლოდ ბიზნესი. ერთმანეთთან უნდა იყოს შერწყმული და დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანაში მუზეუმი აუცილებლად გახდება ტურისტებისთვის მთავარი ინტერესის ადგილი.“*

**მიხაელ აიზენჰაუერი**: *„თანამედროვე მუზეუმების როლი ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ტურისტებისთვისაც. ესაა ადგილი, რომელიც ასე იზიდავს*




→ 5

*უცხო ქვეყანაში ჩასულ ადამიანებს – თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარება და ამ ქვეყნის ისტორიისა და ხელოვნების გაცნობა. ერთად ეს პროცესი მიმზიდველი უნდა იყოს. თბილისში ამ გარემოს შექმნისთვის კი ყველაფერი კეთდება და ჩვენც თქვენ გვერდით ვართ."*

თბილისის სამუზეუმო უბანზე ფიქრი ქართველმა არქიტექტორებმა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყეს. მაშინ არქიტექტორმა **ვლადიმერ ქურთიშვილმა** სამუზეუმო ქუჩის განვითარების გეგმა შექმნა. მისი პროექტი მე-19 საუკუნის გამოძახილი იყო – როცა კავკასიის მუზეუმის აშენება დაიგეგმა, სადაც ახლა ჯანაშიას სახელობის მუზეუმია განთავსებული, მის მოთავეებს სურდათ, რომ ის თბილისის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი გამხდარიყო. სამუზეუმო ქუჩის იდეა ხელახლა 2006 წელს გაცოცხლდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახით ახალი ინსტიტუცია ჩამოყალიბდა. მისი დაკვეთით, ფრანგულმა არქიტექტურულმა სტუდიამ – Studio Milou Architecture სამუზეუმო ქუჩის განვითარების გეგმა დაამუშავა. ახალი გეგმის მიხედვით, მუზეუმებს ერთმანეთთან საფეხმავლო და საზოგადოებრივი სივრცე აკავშირებს – ეს „ალექსანდროვის ბაღი" თუ გუდიაშვილის საფეხმავლო ქუჩაა.

სამუზეუმო უბანი ჩვენს დედაქალაქში პუშკინის სკვერიდან იწყება, სადაც ხელოვნების მუზეუმია განთავსებული, გუდიაშვილის ქუჩას მიუყვება, გუდიაშვილის მუზეუმითა და ეროვნული ბიბლიოთეკის შენობებით და რუსთაველის პროსპექტზე ადის, სადაც ჯანაშიას სახელობის მუზეუმი და ეროვნული გალერეა ერთ ხაზს ქმნიან, უბანს ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მდებარე ლიტერატურის მუზეუმი ამთავრებს.

გამოფენა ქართულმა მხარემ სამ ნაწილად წარმოადგინა: პირველი ნაწილი, ფოტომასალის დახმარებით, გუდიაშვილის ქუჩისა და რუსთაველის გამზირის ჩამოყალიბების ისტორიას მოგვითხრობს, ასახულია შენობები ძველი და ახალი ფუნქციით; მეორე ნაწილში განსაზღვრულია სამუზეუმო უბნის ფუნქცია ქალაქის ურბანულ ქსოვილში; მესამე ნაწილი ამ უბნის განვითარების გეგმებს წარმოადგენს როგორც ადრეული, ასევე თანამედროვე კონცეფციით.

*„გამოფენის მიზანი იყო გვეჩვენებინა, რა კავშირები შეიძლება დამყარდეს თბილისის სამუზეუმო უბანში არსებულ მუზეუმებს შორის და წარმოგვეჩინა ამ უბნის მნიშვნელობა ქალაქის ცხოვრებაში. ამ კონტექსტში ხაზი გავუსვით რუსთაველისა და გუდიაშვილის ქუჩების დაკავშირების აუცილებლობას და საფეხმავლო-საზოგადოებრივი სივრცეების შექმნას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გამოფენა ბერლინის სამუზეუმო კუნძულთან დიალოგში განხორციელდა, რადგან მათი გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის მართლაც ბევრის მომცემია, მუზეუმებს შორის საერთო საზოგადოებრივი სივრცეებისა თუ საცავების დაგეგმვის თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია ის პარალელები, თუ რა როლი აკისრია სამუზეუმო კუნძულს ბერლინის ცხოვრებაში და სამუზეუმო უბანს – ჩვენს დედაქალაქში"*, – გვითხრა გამოფენის ქართული მხარის კურატორმა **ნანა მეფარიშვილმა.**

ექსპოზიციამ დამთვალიერებელს გრაფიკული მასალის, ფილმის, ფოტოების, ტექსტებისა თუ ნივთების დახმარებით წარმოდგენა შეუქმნა „ბერლინის სამუზეუმო კუნძულისა" და „თბილისის სამუზეუმო უბნის" შესახებ.

**იონ მეი**, გამოფენის კურატორი: *„გამოფენა მიზნად ისახავს გავაცნოთ დამთვალიერებელს „ბერლინის სამუზეუმო კუნძული", თუ როგორ უნდა შევუერთოთ ერთმანეთს სამუზეუმო ქსელი და თანამედროვე გარემო. ასევე, გავეცნოთ იმ პროექტებს, რომლის განხორციელებითაც შევძლებთ, ნებისმიერ დამთვალიერებელს ესა თუ ის ექსპოზიცია საუკეთესო ინტერპრეტაციით შევთავაზოთ."*

გამოფენამ „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი – წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა" შეძლო ამ ორ ქალაქში მდებარე ისტორიულ-სამუზეუმო ქსელის სირთულეებისა და ამოცანების წარმოჩენა, რომლის წინაშეც დგას ბერლინისა და თბილისის მუზეუმები. კერძოდ, კოლექციების დაცვა, ინტერპრეტაცია და მათი გამოფენა ახლად აშენებულ თუ ისტორიულ შენობებში. მუზეუმებისთვის მთავარი მიზანიც ხომ სწორედ კოლექციებისთვის შესაბამისი სივრცის მონახვაა, სადაც ისინი საუკეთესოდ დაცული და გასაგებად და გემოვნებით წარმოდგენილი იქნება.

რეკონსტრუქციის შემდეგ, ამ პატარა ქუჩაზე, წარსულის შენარჩუნებითა და მომავლის განვითარებით, „ქართული კუნძული" შეძლებს ახალი ინტერპრეტაციებით წარმოაჩინოს მუზეუმის თანამედროვე მიზანი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

# მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყების შესახებ

**2012 წლის 20 სექტემბრიდან** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლობის მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მაძიებლობის მსურველთა შესარჩევ კონკურსს.

წელს იმ ქალაქებს, სადაც 2011 წლიდან ხორციელდებოდა მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა, დაემატა კიდევ სამი ქალაქი და რაიონული ცენტრი – მცხეთა, ამბროლაური და დუშეთი. ამრიგად, 2012-2013 სასწავლო წელს, მასწავლებლობის მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება ცამეტ ქალაქში – **თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, რუსთავის, მცხეთის, ამბროლაურისა და დუშეთის** საჯარო და კერძო სკოლებში.

მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, რუსთავის მცხეთის, ამბროლაურისა და დუშეთის რესურსცენტრებში და გაგრძელდება **3 ოქტომბრის ჩათვლით**.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მაძიებლობის კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას სკოლებში, შესარჩევ კომისიასთან. კომისია, ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, განსაზღვრავს მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსს, ფორმას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მაძიებლების შერჩევასთან დაკავშირებით.

მაძიებლობის კანდიდატების მიერ რესურსცენტრებში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და შესაბამისი რესურსცენტრების მისამართი გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ.

## მაძიებლობის კანდიდატი რეგისტრაციის მიზნით რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატის რეგისტრაციის განაცხადი (დანართი №1);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ერთი ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატად რეგისტრაციის საფასური შეადგენს 25 ლარს. თანხა უნდა გადაირიცხოს „ბაზისბანკში", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ანგარიშზე:

**სს „ბაზისბანკი"**
**ანგარიშის ნომერი: GE09BS0000000000234935**
**SWIFT: CBASGE22**
**მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 202 374 251**
**დანიშნულება: მაძიებლობის პროგრამაში ჩართვის რეგისტრაციის მოსაკრებელი (აუცილებლად მიუთითონ სახელი და გვარი)**

თანხის გადარიცხვა ასევე შესაძლებელია ნებისმიერი სხვა ბანკიდან.

## რესურსცენტრების მისამართი, სადაც იწარმოებს მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაცია:

### თბილისი

- გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრი
  მის: დ. უზნაძის №52, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველი კორპუსი
- ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრი
  მის: დ. უზნაძის №68, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეორე კორპუსი
- დიდუბე-ჩუღურეთის რესურსცენტრი
  მის: დ. უზნაძის №68, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეორე კორპუსი
- ძველი თბილისის რესურსცენტრი
  მის: დ. უზნაძის №68, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეორე კორპუსი
- ისანი-სამგორის რესურსცენტრი
  მის: ავლაბრის №34
- დიდგორის რესურსცენტრი
  მის: ტაბახმელა, დიდგორის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

### გორი
მის: გორი. სტალინის ქ. №31

### თელავი
მის: თელავი. ერეკლე მეორეს გამზირი №16

### ახალციხე
მის: ახალციხე. კეცხოველის ქ.№6

### რუსთავი
მის: რუსთავი, შარტავას ქ. №4

### ქუთაისი
მის: ქუთაისი. როძევიჩის ქ. №2

### ზუგდიდი
მის: ზუგდიდი. ზვიად გამსახურდიას №35

### ფოთი
მის: ფოთი. გორგასლის ქ. №37

### ოზურგეთი
მის: ოზურგეთი. კოსტავას ქ. №1

### ბათუმი
მის: ბათუმი. ნიკო ფიროსმანის ქ. №1

### მცხეთა
მის: ალმაშენებლის №73

### დუშეთი
მის: სტალინის ქ. №27

### ამბროლაური
მის: კობახიძის ქ. №7

აქვე გთავაზობთ მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატის რეგისტრაციის განაცხადის ფორმას. განაცხადი უნდა შეივსოს მაძიებლობის კანდიდატის მიერ და წარდგენილ იქნეს რესურსცენტრში შესაბამის საბუთებთან ერთად.

რეგისტრაციის საფუძველზე, მაძიებლობის კანდიდატი მონაწილეობს კონკურსში – რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში, მას იწვევენ ერთ-ერთ სკოლაში, სადაც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობს გასაუბრებაში სკოლის კომისიის წინაშე.

კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენელი და იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის მენტორი, განსაზღვრავს მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსსა და ფორმას, ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე.

*დანართი №1*

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი**

**მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატის რეგისტრაციის**

**გ ა ნ ა ც ხ ა დ ი**

**პირადი მონაცემები**

სახელი: ______ გვარი: ______ მამის სახელი: ______

პირადი ნომერი: ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ პირადობის მოწმობის ნომერი: ☐ ☐☐☐☐☐☐☐

დაბ. თარიღი: რიცხვი ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐☐☐ სქესი: ______ მოქალაქეობა: ______

**მასწავლებლობის მაძიებლის საკონტაქტო მონაცემები**

რეგიონი/ქალაქი: ______ რაიონი: ______ საფოსტო კოდი: ☐☐☐☐

ფაქტობრივი საკონტაქტო მისამართი (ქალაქი, ქუჩა, სახლის ნომერი): ______

საკონტაქტო ტელეფონი(ები): ______
ელ.ფოსტა: ______

**განათლება**

| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | ფაკულტეტი და სპეციალობა | წლები |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |

**თანდართული საბუთების ნუსხა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი | |
| 2 | უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი | |
| 3 | ავტობიოგრაფია (CV) | |
| 4 | ერთი ფოტოსურათი (ზომით 3X4) | |
| 5 | მასწავლებლობის მაძიებლობის რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმეტი | |

* მესამე სვეტში შესაბამისი საბუთის გასწვრივ დასვით "√" ნიშანი, იმ შემთხვევაში თუ გაქვთ ეს საბუთი წარმოდგენილი

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოყვანილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია უტყუარია,

ხელმოწერა: ______________________ თარიღი: ____ /____ /________ წ.

# ПАМЯТЬ НАМ ГОРИЗОНТЫ ЧЕРТИТ...

Недавно в России отмечали юбилей Роберта Рожденственского. По телевизору шёл концерт под рубрикой «Всё начинается с любви».

«Всё начинается слюбви...
Твердят: «В начале было слово».
А я провозглашаю снова:
«Всё начинается с любви».

И далее:

«Весна шепнёт тебе: «Живи! –
И ты от шёпота качнешься,
И выпрямишься, и начнёшься –
Всё начинается с любви.»

Звучали слова, казалось бы, такие обычные, простые и бесхитростные, но обладающие удивительной силой – пронзительные и волнующие. «Какие старые слова, а как кружится голова, а как кружится голова...» И это тоже Рождественский.

Я вспомнила Руфину Соломоновну Луцкую, у которой накануне тоже был юбилей – 80 лет. Знаменательная дата!

Почему её? Расскажу поподробнее.

Она работала учителем русского языка в 72-ой общеобразовательной школе и методистом в отделе народного образования Крцанисского района г. Тбилиси.

Редко встретишь в природе сочетание внешней и внутренней красоты. А в ней эта гармония была.

Хорошо сложена, стройная, с прекрасной фигурой. Великолепный овал лица, белокурая, с лёгким румянцем. Никакой косметики, никакого макияжа. Прекрасные глаза, поражающие голубизной и необыкновенные (природные, не крашеные) волосы. Пушистой копной пепельного цвета они поднимались над высоким лбом и придавали ей особый шик.

Кроме восторженных комплиментов в свой адрес Руфина Соломоновна ничего не слышала.

Особенно нравилась она мне зимой. Идёт красивая молодая женщина в серой каракулевой шубке, роскошной песцовой шапке, разрумянившаяся от мороза, идёт гордой походкой, держа за поводок Чару – овчарку немецкой породы. А Чара! Надо было видеть этого пса. Он вышагивал царственной походкой рядом с очаровательной хозяйкой и, глядя на эту пару, трудно было определить, кто из них больше чарует прохожих.

Жители района, где жила Руфа, называли ее «дамой с собачкой». Мне же она напоминала сказочную героиню – мягкую, пушистую, обворожительную. Хотелось спросить: «Из какой же Вы сказки?» – и услышать в ответ: «Я фея, фантазия, сказок виденье».

Руфина Соломоновна часто выступала перед аудиторией: в школе, районе, на городских совещаниях. Нередко начинала свои выступления со стихов Рождественского «Всё начинается с любви». Меня не удивляло такое постоянство. Всю жизнь она принесла на алтарь любви. И, говоря об этом, она провозглашала, убеждала слушателей во всепобеждающей силе человеческого чувства. В ее устах строки о любви превращались в крылатые выражения. Вот некоторые из них:

«Любите всё, что охватывается большим, красивым словом Отчизна. Любите ее, трудитесь на благо её, будьте её проводниками в счастливое будущее.»

«Помните – любой труд, даже самый грубый, возвышается до творчества.»

«Любите свой дом, свою семью, любите и цените своих родителей, помните что школа – тот первый очаг, согревшись у которого, человек становится мыслителем.»

«Будьте милосердны, уважайте и жалейте стариков, больных и бедных. Не скупитесь на душевное тепло. Спешите делать добро!»

Руфина Соломоновна обладала энциклопедическими знаниями, великолепно разбиралась в музыке и живописи, была отличным профессионалом, поражала своей работоспособностью, всегда доводила задуманное до конца.

И ещё – она покоряла своей доброжелательностью. В ней было одно желание – проникнуть в мир твоих переживаний, освободить тебя от душевной боли, сжатого сердца.

За годы нашей дружбы я ни разу не видела озабоченной, печальной, хотя знала о ее проблемах. Светлая улыбка, лучезарный взгляд, веселый нрав – такова была Руфина Соломоновна.

Мы дружили семьями. Мама моя была покорена ее характером. Она говорила: „მშვიდი, გაწონასწორებული, დინჯი, აუღელვებელი, თითქოს არასოდეს გაბრაზებულა. ვუყურებ და მიკვირს, როგორ ეტევა ამ ადამიანში ერთდროულად ერთგული და მშვიდი მეუღლე, თბილი და დინჯი დედა, ყოველთვის გაწონასწორებული და მომღიმარე სახის დიასახლისი, ეს უდავოდ ღმერთის საჩუქარია. ბედნიერებაა მის გვერდით ყოფნა."

А отец мой одним словом определил сущность этой женщины: «Умница».

Я часто задавала себе вопрос: Где тот колодец, откуда она, как могучий Антей, черпает свои силы? И находила только такой ответ: Её взрастила страна, тот уголок земли, где родилась и выросла, родительский дом – «начало всех начал».

Родилась она в живописном районе старого Тбилиси, где расположены знаменитые серные бани, воспетые ещё Пушкиным. В маленьком крутом переулке и сейчас стоит двухэтажный домик, где жила семья Файнштейнов. Росли в ней три очаровательные девчушки: Эмма, Руфа, Софа.

С детства восприняли они неповторимый колорит родного уголка. Каждую весну видели цветущий боярышник на склонах Мтацминда, который почти подступал к дому. Слева от родительского очага – знаменитое Крцанисское поле, справа – вечный страж города, древняя крепость Нарикала и памятник великому Пиросмани.

Чуть поодаль – небольшая площадь с местным названием – мейдан, где уютно расположились еврейская синагога, татарская мечеть, грузинский храм «Сиони», русская колокольня и армянская церковь «Сурп Геворг».

Вряд ли на земном шаре найдется ещё одно такое место, где соседствует столько очагов разных вероисповеданий. Но в Тбилиси представители этих религий живут дружно, по-братски, с пониманием, что Бог – это любовь.

Руфа с детства уловила характер и дух времени, вдохнула пряный аромат старины.

В семье строго соблюдались национальные традиции. Берта Максимовна была прекрасной матерью, верной женой, отличным кулинаром, умно вела домашнее хозяйство, справлялась с ним, как хороший министр экономики.

Соломон Абрамович был живописцем-реставратором. О таких говорят: «У него золотые руки». Прибавьте ещё тонкий эстетический вкус и станет понятно, как любую, казалось бы, безделушку он мог превратить в произведение искусства. Это был мастер высокого класса.

Родители дали дочерям музыкальное образование. Двое – Эмма и Софа – стали музыкантами. Руфа выбрала профессию учителя. Окончив школу с медалью, отнесла документы в Педагогический институт, что вызвало изумление окружающих: «Как? Медаль в педвуз?» Я лично тоже выслушивала «умные» нарекания знакомых: „სად ჩააბარე, ნუცას სკოლაში?" Но мы доказали, что учиться можно везде, коли есть желание учиться. Просто надо правильно определить свои наклонности и – работать, работать, работать.

В семье Файнштейнов сумели привить детям, а позже и внукам, этот дух творчества, тягу к прекрасному, желание находить это прекрасное и утверждать его в жизни. С начала 70-х годов Р.С. Луцкая ведет педагогическую работу – с перва в 98-ой, а затем в 72-ой средней общеобразовательной школе. О новой преуспевающей учительнице вскоре заговорили в районе и пригласили в аппарат РОНО на должность методиста. «Р. Луцкая чувствительно оживила работу района по русской словесности, расширила круг обсуждаемых вопросов, шире стала пропагандировать передовой опыт, чаще знакомить с новой технологией. Школьники Крцанисского района активнее стали принимать участие в Республиканских олимпиадах и учебно-творческих конференциях.»

Руфина Соломоновна обладает удивительным талантом превращать трудовые будни в праздники. И потому люди так тянулись к ней, испытывали чувство огромной благодарности: гордились дружбой с человеком, который как светлый луч, озарял их сердца и души. У нее учились жить, работать, духовно расти, становиться лучше, чем есть.

В 72-ой школе раскрылась еще одна грань таланта Луцкой. Она действительно была фея, ее даже называли генератором новых и интересных идей.

В вихре своей личности она могла закружить любого собеседника, старалась сделать ребят своими помощниками и единомышленниками.

И сегодня школа гордится материалами под рубрикой – «Наша литературная жизнь». Это красочно оформленные альбомы, сочинения, отзывы об обсуждаемых книгах, просмотренных спектаклях, посещениях музеев. Это прекрасно составленные литературно-музыкальные композиции, творчество школьных поэтов, впечатления от краеведческих экскурсий.

Заместитель директора по внешкольной работе много и с любовью рассказывает о Луцкой – можно написать ещё одну статью. В конце беседы произносит фразу на английском языке. Догадавшись, что я не поняла, переводит: «Как бедна была бы земля, если б не было таких людей, как Руфина.» И я добавила: «Природа-мать, когда б таких людей ты иногда не посылала миру, заглохла б нива жизни.»

Р. Луцкая полностью оправдала Чеховское определение: «В человеке всё должно быть прекрасно: и лицо, и одежда, и душа, и мысли.»

### ВОСПОМИНАНИЯ О Р.С. ЛУЦКОЙ

*«Милый, добрый, незабываемый мой старший друг. Я Вас люблю, помню и благодарю судьбу за встречу с Вами. Желаю «одних счастливых дней в году», гармонии внутри и с окружающим миром.*

*Об учителе словесности Руфине Луцкой сказано много. Я расскажу о другом. Луцкая была избрана председателем комитета профсоюзов учителей школы №72. Она предложила устраивать по субботам еженедельные «посиделки» – «У самовара я и моя Маша». Неугомонный человек, она всегда хотела видеть радостные и счастливые лица. Боже, как мы благодарны ей за это.*

*Суббота... Закончены занятия, и мы идем в учительскую. А на столе уже стоит самовар, лежат сухари и бублики, конфеты-карамельки. Иногда кто-нибудь приносил банку домашнего варенья. И начиналось веселье. Читали стихи, рассказывали анекдоты, танцевали, пели песни, вспоминали интересные случаи из пережитого. Часто многие забывали о возрасте, каждый хотел принять участие в фейерверке.*

*Творческие выдумки не давали Луцкой покоя. Силы в ней были необъятные, жизнь воспринимала только в действии.»*

***Людмила Урекадзе,***
***учитель английского языка, бывший заместитель директора школы по внеклассной работе***

*«Руфина Соломоновна Луцкая пользовалась большим авторитетом не только у своих учеников. Многие учителя и сегодня с любовью вспоминают этого большого мастера. Она отличный педагог, интересный собеседник по всем вопросам современности. Каждая беседа с ней обогащала душу и сердце, направляла к книге – источнику знаний. После уроков литературы часто выстраивалась очередь в библиотеку – всем хотелось прочитать рекомендуемую ею литературу. Не ознакомиться в интернете, что легко и просто, а обязательно прочесть, прочувствовать, обратить внимание на отдельные детали, описание природы. Планка эстетического вкуса в ней была особенно высока. Кабинет русского языка скорее напоминал кабинет биологии, столько в нём было цветов, красивых и разных. Они цвели в течении всего учебного года. Это было здорово!*

*Однажды я вошла к Луцкой на перемене и застала удивительную картину: она разговаривала с цветами, поливала, ласкала листочки, говорила им нежные слова.*

*Я не стала нарушать столь «интимное» общение, молча вышла, но день тот запомнила навсегда.*

*Так же, как и дорогую Руфину Соломоновну.»*

***Фира Керимова,***
бывший методист по биологии отдела просвещения Крцанисского района

*«Я встретилась с Руфиной Соломоновной Луцкой в далёкие семидесятые годы, когда впервые перешагнула школьный порог.*

*Знакомство с таким замечательным человеком сразу же покорило меня. «Вот бы мне дорости до неё,» – подумала я и всю дальнейшую мою педагогическую жизнь Луцкая оставалась высоким профессионалом, мудрым советчиком, примером интеллигентности. Её лучезарные глаза всегда светились добром и любовью.*

*Для меня Р. Луцкая – эталон Личности. Помню, люблю, желаю только добра.»*

***Тина Саникидзе,***
бывший директор школы №144

*«Участь человека зависит от его воспитания», – написал Алексин в повести «Безумная Евдокия». Именно эту идею вкладывала Руфина Соломоновна Луцкая, общаясь со своими учениками. Хотела видеть в них будущих граждан страны – честных, справедливых, мужественных, благородных. А уроки русской литературы представляли отличный материал – ведь в ней так хорошо определено, что такое хорошо и что такое плохо.*

*Уроки литературы, внеклассные мероприятия – диспуты, конференции, литературные вечера, краеведческие экскурсии – заставляли задуматься о вечном и сущном, о назначении человека, о его долге перед семьей, перед родителями, перед страной.*

*Уроки Руфины Соломоновны будили творческую фантазию, чаще всего то подхватывали нас и уносили в «чудный мир тревог и битв», то возвращали в сложные взаимоотношения между людьми.*

*Я очень благодарна Руфине Соломоновне за эти уроки жизни.»*

***Наира Кандарян,***
выпускница 1972, учитель математики

*«Школьные годы... Десять лет пролетели ослепительным метеором – яркие, насыщенные интересными событиями, радостью узнавания мира, приобретения знаний, определения своего места под солнцем.*

*Большую роль в формировании наших душ сыграла Р.С. Луцкая. Она преподавала мне русский язык и одновременно являлась классным руководителем.*

*Руфина Соломоновна – образец настоящего правильного учителя. Как и все остальные учителя, на уроке она опрашивала, задавала вопросы, объясняла, предлагала задания. Но вела себя как-то особенно. Проходя между рядами, могла погладить по голове, прикоснуться к плечу, «обнять» взглядом ученика. И это для нас значило больше, чем полученная отличная оценка.*

*Теплое, материнское отношение ребята запоминают надолго, запоминают с благодарностью.»*

***Фира Гаджиева,***
бывшая выпускница 72-ой сш, ныне учитель немецкого языка публичной школы №72

Страницу подготовила
**ЦИАЛА ГУЩЯН,**
**заслуженный учитель Грузии**

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ახალი საგამოცდო მოდელის – 8+1 პრეზენტაცია გაიმართა. ახალი ერთიანი საგამოცდო პროგრამა ფარავს, ერთდროულად, ორ დონეს – ატესტატის მიმღებთა და აბიტურიენტთა.

მთავარი სიახლეები:

▪ დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვალდებულია 8 საგანში ჩააბაროს გამოცდა;

▪ საბიტურიენტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლე სურვილისამებრ ირჩევს პროგრამებს და დამატებით აბარებს ზოგადი უნარების გამოცდას;

▪ გამოცდები კომპიუტერზე ჩატარდება;

▪ ქართულისა და უცხო ენის წერითი დავალებები ქაღალდზე შესრულდება;

▪ უცხოური ენების საგამოცდო ფორმატს მოსმენის (Listening) კომპონენტი დაემატება;

▪ ერთიანი ეროვნული გამოცდები სკოლებში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება;

▪ სექტემბრის ბოლოს საგამოცდო პროგრამები გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება;

▪ ოქტომბრის ბოლოს უნივერსიტეტებისა და აკადემიური პროგრამების შესახებ ცნობარი გამოიცემა;

▪ მეორე სემესტრიდან სკოლებში აბიტურის საათებს საგანი „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ დაემატება და მოსწავლეები ახალი ტესტის ფორმატზე კომპიუტერებთან ივარჯიშებენ;

▪ რეგისტრაციას მოსწავლეები სკოლებში, მარტის დასაწყისიდან, ერთი თვის ვადაში გაივლიან;

▪ აბიტურიენტები რეგისტრაციას თავად გაივლიან და 20 სასურველი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ.

გამოცდებთან დაკავშირებულ დეტალებზე მუშაობა გრძელდება. სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები რეგულარულად შეხვდებიან მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს და პირადად გააცნობენ გამოცდების ახალ მოდელს, სრული და ყველა აუცილებელი ინფორმაცია კი, გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.naec.ge და Facebook-ზე განთავსდება.

* * *



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი გახსნეს. პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი დაარსდა, მიზნად ისახავს საქართველოში საინჟინრო, ტექნოლოგიური, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების დარგებში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტის დაძლევას და ამ სფეროების მიმართ სტუდენტების დაიტერესებას.

ამერიკული და ევროპული სტანდარტების შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ძირითადი მიმართულებები სწორედ ტექნოლოგიური, ინფორმაციული და საინჟინრო დისციპლინები იქნება. სამომავლოდ, უნივერსიტეტი ამ მიმართულებებზე ბაკალავრის, მაგისტრისა და, სავარაუდოდ, დოქტორის ხარისხს გასცემს. უნივერსიტეტთან თანამშრომლობით უკვე ბევრი უცხოური სასწავლებელია დაინტერესებული, მათ შორის – ნიუ-იორკის ტექნიკური უნივერსიტეტი.

მომავალ უნივერსიტეტს შემდეგი ფაკულტეტები ექნება: სამოქალაქო ინჟინერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT), გამოყენებითი ფიზიკა და მათემატიკა, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიები, მასალათმცოდნეობა და ა.შ.

ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან (MCC) თანამშრომლობით დაარსდა.

* * *




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მოსწავლეების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

ამავე ბრძანების თანახმად, მობილობა დაუშვებელია პირველი კლასის პირველი სემესტრის მიმდინარეობისას, მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას და სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ასევე გაცნობებთ, რომ მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას სკოლის დირექტორი იღებს, სკოლაში არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

* * *



ხაშურის რაიონის 3 სოფელს ახალი სკოლის ავტობუსი მოემსახურება. პატარა ფლევში, ტკოცასა და ნაცარგორაში მცხოვრები ბავშვები, წლების განმავლობაში, სოფელ დიდი ფლევის საჯარო სკოლაში ფეხით დადიოდნენ. თითოეულ მათგანს, ყოველდღიურად, სკოლაში მისასვლელად, მინიმუმ, 6 კილომეტრის გავლა უწევდა. ახალი ავტობუსი მოსწავლეებს სკოლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ნიჟარაძემ მიუყვანა და ბავშვები სახლებში ავტობუსით მიაცილა.

* * *



ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურ სვირში ახალი სკოლა აშენდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი ჩახნაშვილმა პირადად დაათვალიერა ადგილი, სადაც ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო.

სოფელ სადგურ სვირის 100-მდე მოსწავლე, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ძველ შენობაში არასტანდარტულ, სწავლისათვის შეუფერებელ გარემოში სწავლობს. ახალი სკოლის შენობა ძველ სკოლაზე გაცილებით უკეთეს და ხელსაყრელ ადგილზე შენდება, ორსართულიანი თანამედროვე სკოლა ახალი ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვება, ექნება ცენტრალიზებული გათბობა, სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და ღია სპორტული მოედანი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

# კეთილი ფიქრის, კეთილი სიტყვის, კეთილი საქმის საწინდარი

<u>*მაკა ყიფიანი*</u>

19 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, ტრადიციული კონკურსის „ვკითხულობთ რუსთაველს“ დასკვნითი ტური გაიმართა.

კონკურსანტებმა სასურველ ენაზე (ქართული, ინგლისური, ფრანგული, სომხური) წარმოადგინეს შერჩეული ეპიზოდები, მინი-ელექტრონული პროექტები პოემის შესახებ. კონკურსანტებმა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა განყოფილების მიერ მომზადებულ ვიქტორინაში მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში „ვკითხულობთ რუსთაველს“, მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. კონკურსანტთა შეფასებისას ჟიური (თავმჯდომარე – **გია მურღულია**, წევრები: **მირიან ხოსიტაშვილი, ლალი დათაშვილი, დავით მაჭავარიანი**) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, პოემის მოქმედ, ცოცხალ სიტყვაში გარდასახვას, მართლმეტყველებას – ბგერათა სწორად და გარკვევით გამოთქმას, არაქართველთა მიერ ქართული ენის ფლობის უნარს. აღსანიშნავია, რომ წელს კონკურსში პირველად მონაწილეობდნენ ერევნის სასწავლო კომპლექსის „მხითარ სებასტაცის“ (დირექტორი – **აშოტ ბლეიანი**) მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე ნინოწმინდის შოთა რუსთაველის სახელობის, განძის მე-2 საჯარო სკოლის (დირექტორი – **სარქის დურგარიანი**) არაქართველი მოსწავლეები.

კონკურსის მონაწილეები დიპლომებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. ვიქტორინაში გაიმარჯვა თბილისის 115-ე საჯარო სკოლის გუნდმა – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ნომინაციაში „მხატვრული კითხვა“ პირველი ხარისხის დიპლომითა და პრიზით დაჯილდოვდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი **ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი**; მეორე ხარისხის დიპლომი და პრიზი გადაეცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლის „მზეკაბანი – 2007“ VIII კლასის მოსწავლეს – **მარიამ მაკარიძეს**; მესამე ადგილი გაინაწილეს – თბილისის 116-ე, 23-ე და 24-ე საჯარო სკოლების მკითხველებმა და გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ნომინაციაში „საუკეთესო კომპოზიცია“ დაჯილდოვდნენ: თბილისის 24-ე საჯარო სკოლის პედაგოგი – **ტატიანა შათირიშვილი** (პირველი ადგილი) და ერევნის სასწავლო კომპლექსის „მხითარ სებასტაცი“ პედაგოგი **რინა შაგინიანი** (მეორე ადგილი).

ღონისძიების დასაწყისში დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო პროფესორ **რევაზ სირაძის** ხსოვნას, რომელიც გასულ წლებში პროექტის ქომაგი და ჟიურის საპატიო წევრი იყო. აღსანიშნავია, ამ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საფუძველი ჩაეყარა რევაზ სირაძის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულთა კლუბის დაარსებას. კლუბს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები – **გიორგი კილაძე** და **ნინო ხვედელიძე** უხელმძღვანელებენ.

**თამარ ბარისაშვილი**, პროექტის „ვკითხულობთ რუსთაველს“ ხელმძღვანელი: *„პროექტი უკვე მეცხრედ ხორციელდება და მოწოდებულია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის უპირველესი წიგნის უკეთ გასაცნობად, მსოფლიო აზროვნებისა და მოქალაქეობრივი მრწამსის გასავითარებლად. ტრადიციული კონკურსი ამჯერადაც ახალ საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარდა. ეროვნული ბიბლიოთეკა რომ მასპინძლობდა ღონისძიებას, განპირობებული იყო იმით, რომ წელს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის 300 წლის იუბილეა.*

*მიხარია, რომ ბატონი გიორგი კეკელიძე ჩემს ინიციატივას – დაფუძნებულიყო რევაზ სირაძის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულთა კლუბი“ – დადებითად შეხვდა და მხარდაჭერა აღგვითქვა. ეს წამოწყება ბევრ ლიტერატორს, ქართული სიტყვიერების მოყვარულს, მეცნიერსა და მასწავლებელს გაახარებს, მცირედით მაინც შეგვიმსუბუქებს იმ ტკივილს, რაც გამოწვეულია ბატონი რეზოს მოულოდნელი და ტრაგიკული გარდაცვალებით. სწორედაც რომ ეროვნული ბიბლიოთეკის სივრცეში უნდა დავანდეს ქართული სულიერება.*

*მადლობას ვუხდი კონკურსის ყველა მონაწილეს, საქართველოსა და სომხეთის მასშტაბით. განსაკუთრებული მადლობა მხარდაჭერისათვის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს:* ***ნინო ხვედელიძეს, გიორგი თეთრუაშვილსა*** *და* ***გიორგი კილაძეს****; ნინოწმინდის რესურსცენტრის ხელმძღვანელობას და კომპლექს „რაბათის“ დირექტორს – ბატონ* ***ნოდარ გოროხოვს****.*

**გია მურღულია,** თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მასპინძლობისთვის ეროვნულ ბიბლიოთეკას. მოხარული ვარ, რომ ჩვენი მოსწავლეები და პედაგოგები პროექტში მონაწილეობით ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ. არაფერია იმაზე კარგი სანახავი, როდესაც ახალგაზრდა ადამიანები სხედან და „ვეფხისტყაოსანზე“ საუბრობენ და ეს საუბარი დაუსრულებელია. სასიხარულოა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაარსდება „ვეფხისტყაოსნის, მოყვარულთა კლუბი“, სადაც ადამიანებს საშუალება მიეცემათ კარგი საქმეები აკეთონ. არსებობს ფიქრის ეკოლოგია, 21-ე საუკუნემ იმდენად დაანაგვიანა ჩვენი ცნობიერება, რომ ხანდახან აუცილებელია ეკოლოგიური სისუფთავე ფიქრის, განზრახვის. მაზდიანებს ჰქონდათ თავიანთი სამება: კეთილი ფიქრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე. ეს ძალიან კარგი პრინციპია. მეტი რა არის ადამიანი? მერე რა, რომ მაზდიანების სამებაა. მინდა, მეც ვუსურვო პროექტის მონაწილეებს – კეთილი ფიქრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე, ამაში მათ სწორედ „ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრი დაეხმარებათ“.*

**მაია კობახიძე**, საქართველოს პედაგოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე: *„ჩვენ ყველას „ვეფხისტყაოსანი“ გვაერთიანებს. დიდი მადლობა ერევნის სასწავლო კომპლექსის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომლებიც დაინტერესდნენ ჩვენი პროექტით და აქტიურად ჩაერთნენ კონკურსში. ისინი ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის, სომხეთის პედაგოგთა პროფკავშირის ორგანიზებითა და ხელშეწყობით ჩამობრძანდნენ საქართველოში. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ავტორს, ქალბატონ თამარ ბარისაშვილს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დაუჭირა პროექტს და წვლილი შეიტანა მის განხორციელებაში. რადგან პროექტი ემსახურება 21-ე საუკუნის მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერ აღზრდას, ამიტომ მასწავლებელთა პროფკავშირი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს პროექტის ხელშეწყობას“.*

**რუზანა ათორაკალიანი**, განძის №2 სომხურენოვანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე: *„მიხარია, რომ პროექტში „ვკითხულობთ რუსთაველს“ სომეხი ბავშვებიც ვმონაწილეობთ. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ვალდებულები ვართ, ქართულად ვიცოდეთ საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა და კულტურა, ჩვენ აუცილებლად ვისწავლით „ვეფხისტყაოსანს“ ქართულ ენაზე“.*

**ტატიანა შათირიშვილი,** თბილისის 24-ე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი: *„ჩვენ მიერ წარმოდგენილ კომპოზიციაში – „ჰანგები ვეფხისტყაოსნიდან“ ვსაუბრობთ იმ მუსიკალური საკრავების შესახებ, რომელიც პოემაშია ნახსენები. სწორედ პროექტზე მუშაობისას დაინახეს მოსწავლეებმა, რომ ტარიელი და ავთანდილი განიხილებიან არა მარტო როგორც მებრძოლი რაინდები, არამედ ხელოვნებასთან წილნაყარი ადამიანები. ჩვენი კომპოზიციიდან ნათლად ჩანს, თუ რა ადგილი უჭირავს პოემაში მუსიკასა და ხელოვნებას. ამიტომაც გადავწყვიტეთ ხელოვნებისა და მუსიკის ფარგლებში განგვეხილა „ვეფხისტყაოსანი“. ბევრი სიმღერა, რომელსაც დღეს ქართულ ესტრადაზე მღერიან, „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზებზე დაყრდნობითაა შექმნილი. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს და ჟიურის, რომლებმაც ჩვენი შრომა სათანადოდ შეაფასეს და შესანიშნავი პრიზით –* ***დავით მაჭავარიანის*** *მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნით“ დაგვაჯილდოვეს“.*

**რინა შაგინიანი**, ერევნის სასწავლო კომპლექს „მხითარ სებასტაცის“ ქართული ენის მასწავლებელი: *„პროექტში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო. ჩვენს სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცევა ქართული ენის შესწავლას, რაც სასწავლებლის დირექტორის – აშოტ ბლეიანის დამსახურებაა (აშოტ ბლეიანი თბილისის მერიის მიერ დაჯილდოებულია ოქროს მედლით, როგორც საქართველოს კულტურის ელჩი). მეორე წელია, სასწავლებელში ქართული ენა, როგორც უცხო ენა, ისე ისწავლება. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ქართული ენის შესწავლისადმი, არამედ საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი. ყოველი წლის 14 აპრილს ჩვენი სასწავლებელი აღნიშნავს ქართული ენის დღეს. საქართველოში წელიწადში სამჯერ ჩამოვდივართ. მეგობრობა გვაკავშირებს „საიათნოვას“ სკოლასთან. დიდი მადლობა პროექტის – „ვკითხულობთ რუსთაველს“ ორგანიზატორებს, რომლებმაც პროექტში მონაწილეობის საშუალება მოგვცეს. მომავალში მსგავს პროექტებში აქტიურად ჩავერთვებით“.*

**მანანა წერეთელი**, თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლის „მზეკაბანი – 2007“ პედაგოგი: *„მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო ამ პროექტში. ჩვენი ყოველდღიურობა გვარწმუნებს, რომ ხანდახან ძალიან შორს ვართ ზნეობრიობისგან. ძალიან ხშირად არის საჭიროება იმისა, რომ ვიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საგანძური, როგორც ზნეობრივი სრულყოფისკენ მიმავალი გზა, რადგან ისევე სრულყოფილი გახდეს ჩვენი ცხოვრება, როგორც „...მამაი ჩვენი ზეცათაი სრულ არს“.*

**ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი,** განძის მე-2 საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„მიხარია, რომ დღეს ჩემს მოსწავლეებთან, სომეხ ბავშვებთან ერთად მონაწილე ვარ ამ დიდი ღონისძიების. პროექტში ჩართვით ჩვენ გამოვხატეთ უკვდავი პოემისადმი სიყვარული და დაინტერესება. თუ დღეს ყველაზე მეტად რაიმე სჭირდება ჩვენს ერს, ეს არის ჩვენი ეროვნული სულიერების შენარჩუნება. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს, რომლებიც მოზარდების სულიერებაზე ზრუნავენ“.*

**ლალი დათაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: *„ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე „ვეფხისტყაოსნის მოყვარულთა კლუბის“ დაფუძნება, კიდევ ერთი კეთილი საქმის დასაწყისია. მიმაჩნია, რომ კლუბი ბევრ ადამიანს მიანიჭებს ბედნიერების განცდას. შემთხვევითი არ არის, რომ კლუბი რევაზ სირაძის სახელის მატარებელი იქნება, რადგან მან შექმნა გარკვეული ეპოქა ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიისათვის. მისი „ვეფხვისტყაოსანი და ვეფხვისტყაოსნობა“ ძალიან დიდი ფიქრის გამოხატულებაა და კარგი იქნება თუ მას მოსწავლეები გაეცნობიან და წაიკითხავენ.*

*რაც კი ღირებული მოიპოვა კაცობრიობამ, ეს მოხდა მხოლოდ ფიქრის კულტურის გზითა და საშუალებით. მიხარია, რომ პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ არ კარგავს აქტუალობას“.*

**მირიან ხოსიტაშვილი,** ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე: *„ბუნებრივია, რომ სწორედ ეროვნულ ბიბლიოთეკაში უნდა იქმნებოდეს კლუბები და პროექტები, რომელიც ახალგაზრდების სულიერ აღზრდას ემსახურება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულება. ეროვნული ბიბლიოთეკა რომ მხოლოდ წიგნსაცავი არ არის, ამას სწორედ დღევანდელი ღონისძიება ცხადჰყოფს. „ვეფხისტყაოსანი“ ქართული შედევრია, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ და მომავალშიც უნდა აღიზარდონ. ჩვენი ბიბლიოთეკა, ყოველთვის მხარდამჭერი იქნება მსგავსი ღონისძიებების და ყველა ჯანსაღ წამოწყებას მიესალმება“.*

**ნინო ხვედელიძე**, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი: *„ვკითხულობთ რუსთაველს“ უდავოდ მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა, ამჯერად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლე ახალგაზრდების დამეგობრებას, მათში ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი სიყვარულის გაღრმავებას.*

*„ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური გამოცემის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პროექტში, წელს პირველად, ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა. ჩვენ წარმოვადგინეთ გამოფენა „ვეფხისტყაოსნის” აკადემიური გამოცემები“. გამოვფინეთ იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციის ნაწილი. პროექტის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ როგორც 1712 წლით დათარიღებულ ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილ, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დასტამბული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს. წარმოდგენილი იყო ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, ჩეხურ, რუმინულ, ესტონურ, ბულგარულ, ბელორუსულ, მოლდავურ, სომხურ, ებრაულ, აზერბაიჯანულ, არაბულ, სპარსულ, ჩინურ, იაპონურ, მონღოლურ, თათრულ, თურქულ, აფხაზურ, იაკუტურ და სხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნები. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა მსოფლიოს 37 ქვეყანაში 46 ენაზეა დაბეჭდილი, გამოცემათა რიცხვი კი 400-მდეა. ქართულ ენაზე დაბეჭდილია 100-ზე მეტი ისეთი გამოცემა, რომელიც პოემის სრულ ტექსტს შეიცავს. ამ ჩამონათვალს არ მიეკუთვნება ადაპტირებული, ფრაგმენტული ან პროზაული გამოცემები. ამ წიგნების დამთვარიელებლისათვის, თვალის ერთი გადავლებითაც, ცხადი ხდება, თუ რა ძვირფასი საგანძური დაგვიტოვა დიდმა შოთამ „ერის საუნჯედ“ „საერო ბიბლიად“ წოდებული პოემის სახით.*

*პროექტში წელს, ასევე პირველად, ჩატარდა ვიქტორინა, რომლისთვისაც საკითხები შეირჩა ორი მიმართულებით: პოემის შინაარსობრივ-ტექსტოლოგიური და წიგნმცოდნეობითი, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა, მათი ბეჭდვისა და მომზადების კუთხით. ჩვენი მიზანი იყო, მოსწავლეებს დავხმარებოდით სიღრმისეულად შეესწავლათ არა მარტო რუსთაველის ეპოქა და მისი უკვდავი პოემა, არამედ გაცნობოდნენ ვახტანგ მეექვსის ღვაწლს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიასა და ქართველი ერის განათლების საქმეში. იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული წიგნმცოდნეობის კაბინეტის ფონდი საშუალებას იძლევა, მკითხველი გაეცნოს „ვეფხისტყაოსნის“, სხვა ძველნაბეჭდი და გასული საუკუნის წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის, ქაღალდისა და შრიფტის, წიგნის გაფორმებისა და მისი მხატვრობის, გამომცემელთა და გამომცემლობების, საგამომცემლო ნიშნებისა და ექსლიბრისების ისტორიას. ქართული და მსოფლიო წიგნის ისტორიის საკითხებით დაინტერესება მოზარდ თაობებში წიგნისადმი სიყვარულის გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა“.*

ღონისძიებაზე ისაუბრეს კონკურსის – „ვკითხულობთ რუსთაველს“ მნიშვნელობაზე, რომელიც, გარკვეულწილად, ავსებს ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურის და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, ბატონი გიორგი კილაძის წამოწყებას „21-ე საუკუნის ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თაობაზე.

**გიორგი კილაძე**: *„ეროვნულ ბიბლიოთეკას „ფეისბუქის“ სოციალურ ქსელზე აქვს ლიტერატურული გვერდი „ებლიტფო“, რომელიც დამოუკიდებელ ფორუმს წარმოადგენს და სხვადასხვა ლიტერატურულ პროექტებს ახორციელებს. სწორედ „ებლიტფოს“ მომხმარებელთა ინიციატივით გაჩნდა იდეა 21-ე საუკუნის ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნისა.*

*პროექტს ძალიან ბევრი მსურველი გამოეხმაურა, რუსთაველის პოემის ერთი სტროფის გადაწერა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. გადამწერი თავად ირჩევდა სასურველ სტროფს. პროექტი ორი წელი გრძელდებოდა. ხელნაწერებს გვიგზავნიდნენ სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ადამიანები. სულ მალე, გამოიცემა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ერთადერთი ეგზემპლარი იქნება და ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება“.*

მეორე დღეს, პედაგოგთა პროფკავშირის ორგანიზებით, პროექტის ფარგლებში, განძელი და ერევნელი მოსწავლეები კონკურსის სხვა მონაწილეებთან ერთად ახალციხეში გაემგზავრნენ. მოსწავლეებს გულთბილი მასპინძლობა გაუწია „რაბათის“ ხელმძღვანელმა ნოდარ გოროხოვმა. სტუმრებმა დაათვალიერეს „რაბათის“ კომპლექსი, სომეხი ბავშვები აღტაცებას ვერ მალავდნენ არა მარტო რაბათის სილამაზით, არამედ ახალციხის ხალხური ანსამბლის „ბინდის“ მიერ შესრულებული სიმღერების გამო. ქართველმა და სომეხმა მოსწავლეებმა ციხე-სიმაგრის ისტორიულ ფონზე კიდევ ერთხელ წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ერთობლივად შეასრულეს ქართული და სომხური სიმღერები.

მესამე დღეს, ერევნელ სტუმრებს განძის მე-2 საჯარო სკოლამ უმასპინძლა, სადაც მოეწყო სპორტული შეჯიბრებები, პედაგოგ **ნარა მხითარიანის** ხელმძღვანელობით; გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, ქართულ და სომხურ ენებზე. ერევნელმა მოსწავლეებმა, თავიანთ პედაგოგებთან ერთად, მოისმინეს ქართული და სომხური ენის გაკვეთილები. სტუმრებმა კულტურული ღონისძიების ფარგლებში დაათვალიერეს ფარავნის ტბა და ფოკის მონასტერი. აღსანიშნავია, რომ თბილისის 24-ე საჯარო სკოლას, ერევნის „მხითარ სებასტაცის“ სასწავლო კომპლექსსა და განძის მე-2 საჯარო სკოლას შორის, გაფორმდა მეგობრული ურთიერთობის მემორანდუმი.

# „ვკითხულობთ რუსთაველს“















სპორტი

# ახალგაზრდა ძიუდოისტთა წარმატება

*რუბრიკას უძღვება*
*ირაკლი თავაძე*

ხორვატულ პორეჩში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები, რომელმაც 7 მედალი მოიპოვა – 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ევროპის ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** (+100) გახდა; **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ფრიდონ გიგანი** (73) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) ვერცხლს დასჯერდნენ; **ლევან გუგავა** (73) და **გურამ თუშიშვილი** (100) კი მესამეზე გავიდნენ.

წლეულს ამ ნაკრებმა თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი განიცადა, თუმცა უმტკივნეულოდ გადაიტანა, რასაც ხორვატული შედეგიც ადასტურებს. აღნიშნული შვიდეულის გარდა, კიდევ სამმა სპორტსმენმა ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა, ანუ 16 სპორტსმენიდან ათმა იბრძოლა ჯილდოსთვის, ხოლო 8 წონიდან 5-ში – ფინალში ვიჭიდავეთ. ეს ისეთი შედეგია, რომელსაც ყველა მწვრთნელი წინასწარ მოაწერს ხელს. ასეთი მიღწევით – გუნდურ ჩათვლაში მედლების საერთო რაოდენობით – ბიჭებში ყველას ვაჯობეთ, თუმცა ოქროებით მესამეზე ვართ. ასევე მესამეზე გავედით ბიჭებისა და გოგოების მაჩვენებელთა შეჯერებულ, ანუ ტურნირის საერთო სიაში.

თუმცა, სტატისტიკაზე მეტად საყურადღებო გუნდის დამაჯერებელი, მაღალი დონის ჭიდაობაა. უმთავრესი წინსვლა მაინც ფიზიკური მომზადების მხრივ შეინიშნება – ვერ ვიტყვით, რომ რომელიმემ გადაღლით წააგო ან სუნთქვა და გამძლეობა არ ეყო. პირიქით, ახლა




ეს მათი ძირითადი კოზირი იყო და ნაკრების მწვრთნელებმა ამაზეც ააგეს გუნდის სტრატეგია. *„ბიჭებს დავალება ჰქონდათ, პირველი 2 წუთი ტაქტიკაზე უნდა ეჭიდავათ, ბოლო 2 წუთი კი უნდა შეეტიათ. უმეტესობამ ბოლომდე შეასრულა ეს ამოცანა“* – განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი გუგავამ**. მაღალი იყო ტექნიკური მომზადების დონეც და გუნდმა ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. მთავარი დადებითი ფაქტორი მაინც გუნდის მეტისმეტად ახალგაზრდული ასაკია – ამ ბიჭების უმეტესობა წლეულს გადმოვიდა ჭაბუკთა ნაკრებიდან, ძირითად ბირთვს 17-18 წლისები შეადგენენ. ამის მიუხედავად, მაინც წარმატებით იბრძოლეს უფროსებთან, თუმცა უფროსებსაც გააჩნია – ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში ასაკის გადაკეთება ფართოდაა ფეხმოკიდებული და გუგავამ ისიც თქვა, თავად მათაც რცხვენოდათ, იმდენად აშკარა იყო მათი უფროსი ასაკიო. საბედნიეროდ, ჩვენთან ეს პრობლემა მოიხსნა და ამ ბიჭების ასეთი გამოსვლა სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი წარმატების გარანტიაა.

შარშანდელი შემადგენლობიდან წლეულს ამ ნაკრებში ჭელიძე, მარგველაშვილი, გიგანი და მატიაშვილი შემორჩნენ. ჭელიძე და მატიაშვილი შარშანაც გავიდნენ ევროპირველობის ფინალში, თუმცა მაშინ ორივე ვერცხლს დასჯერდა. ჭელიძემ ვერც ამჯერად შეძლო იმ შედეგის გაუმჯობესება, მატიაშვილმა კი დამაჯერებლად იჭიდავა. ის მზარდი და ნიჭიერი სპორტსმენია, რომელზეც გუგავა ხშირად ამბობდა, მისი სახით ნაკრებს კარგი კადრი ეზრდებაო, რაც პორეჩში გამართლდა კიდეც. ჩვენებურმა 5-დან 4 შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო, ერთში კი დამატებითი დრო დასჭირდა. თავიდან ესტონელ **ჰენრიხ სილდვეერს** ვაზარით მოუგო, თურქ **სემიჰ ადიამანს** – იპონით; რუს **პიოტრ კაკოვკინთან** ყველაზე მეტად გაუჭირდა და დამატებითში მოუგო გაფრთხილებით, ბოლო ორ შეხვედრაში კი უკრაინელები დაჯაბნა – ნახევარფინალში **ანდრეი კოლესნიკს** ვაზარით აჯობა, ხოლო ფინალში **მიკიტა დიბრინი** დააიპონა. მატიაშვილი ევროპის ჩემპიონ გივი ონაშვილის შვილიშვილია. გუგავამ ასე დაახასიათა მისი გამოსვლა: *„ის ჩამოყალიბებული მოჭიდავეა. შეცდომა არ დაუშვია და გდება არ გაუშვია, ისე მოიგო პირველობა. ბიჭი მოსაგებად იყო ჩასული და მოიგო კიდეც. უკლებლივ ყველა შეხვედრა ისე ჩაატარა, რომ იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა. შევალ და ვიჭიდავებო, ასე კი არ გადიოდა ტატამზე, არამედ წინასწარ ჰქონდა დასახული გეგმა, ვისთან როგორ მოქცეულიყო“.*

# გრაციოზულობა „გრაციაში“



ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის კლუბმა „გრაციამ“ მეხუთედ უმასპინძლა საერთაშიორისო ტურნირს, რომელშიც ქართველებთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც გამოდიოდნენ. შეჯიბრება 6 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. ყველაზე უმცროსებში – 9-წლიანებში **სალომე ოქროპირიძემ** გაიმარჯვა, **მარი ჩხეიძე** კი მესამეზე გავიდა; 10-წლიანებში ყველას აზერბაიჯანელმა **ლამაი ჰაჯიევამ** აჯობა, მასპინძელთაგან კი საუკეთესო **ნატალია თაბაგარი** იყო, რომელიც ვერცხლს დაეუფლა; ოქრო 11-წლიანებშიც აზერბაიჯანელებს ერგოთ – **ლეილა იბრაგიმოვას**, ჩვენებურთა საუკეთესო შედეგი კი **ნატო მიმინოშვილის** ბრინჯაოა; 12-იანებშიც აზერბაიჯანელმა სპორტსმენმა იმარჯვა – **რუქია საფაროვამ**, ჩვენ კი ვერცხლი გვერგო, რომელიც **მარინა კაკაბაძემ** მოიპოვა; სამაგიეროდ, 13-იანებში კვარცხლბეკი მთლიანად ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა შეავსეს, ასეთი თანმიმდევრობით: **ნინია როხვაძე, ქეთევან ლომაძე** და **ლუიზა მანუკიანი**.

# 15 წლის ჩემპიონები



დაშნით მოფარიკავეთა საქართველოს ჩემპიონატი 15 წლის სპორტსმენთა გამარჯვებით დასრულდა – გოგონებში ქუთაისელმა **ქრისტინე მიქაძემ** გაიმარჯვა, ვაჟებში – თბილისელმა **მიქაელ მიქაელიანმა**.

მიქაძემ ფინალში ერთი წლით უფროსი თანაგუნდელი **მარია ზაკირჩენკო** დაამარცხა, რომელიც ახალგაზრდებში საქართველოს 2010 წლის ჩემპიონია. ფინალი დაძაბული გამოდგა – თავიდან ზაკირჩენკო იგებდა, მაგრამ მერე მიქაძე დაწინაურდა – 14:13. ზაკირჩენკომ ანგარიში გაათანაბრა და ამის შემდეგ კარგა ხანს თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, ვიდრე 19:19-ზე მიქაძემ გამარჯვების მომტანი ჩხვლეტა არ განახორციელა.

მიქაელიანმა, რომელიც თბილისშია დაბადებული, თუმცა მოგვიანებით ერევანში გადასახლდა, ახლა კი ისევ საქართველოში დაბრუნდა, ფინალში ბევრად იოლად დაჯაბნა ქუთაისელი **დავით არველაძე** – 15:9.

5-7 ოქტომბერს ჩვენი ახალგაზრდა მოფარიკავეები ერევანში იასპარეზებენ საერთაშორისო ტურნირზე.19-21 ოქტომბერს კი, თბილისი მეორედ უმასპინძლებს 23-წლამდელთა შორის მსოფლიო თასის მორიგ ეტაპს.

# ისტორიული ტურნირის ტრიუმფატორები

21-24 სექტემბერს, ტალინში, პირველად ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი 15-16 წლის სამბისტთა შორის, რომელშიც 15 ქვეყნის ნაკრები გამოდიოდა. ისტორიულ ტურნირში წარმატებით იასპარეზა ჩვენმა გუნდმა, რომელმაც 7 მედალი მოიპოვა – 5 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო. ევროპის ჩემპიონები გახდნენ: **თორნიკე ნაგლიაშვილი** (46), **ჯაბა ქურდიანი** (50), **გიორგი მეტრეველი** (60), **ირაკლი გოგია** (78) და **დავით ოზბეთელაშვილი** (84), **მიხეილ ახალაურმა** (+84); ფინალი დათმო, **ჯემალ ბუჩუნტელი** (66) კი ბრინჯაოს დაეუფლა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, რომელმაც ბელორუსი და რუსეთი ჩამოიტოვა.

# სიახლე!




## თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საქანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com






## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

## თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** ახალი
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** ახალი
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** ახალი
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**

## გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი




კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი



„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
ფასი 5,70 ლარი




**„რა არის რა“**
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
**9 ლარი**

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**

## ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK